ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №708437

ნომერი: AR1131075

თარიღი : 15.05.2013

გაცემის თარიღი : 27.05.2013

გაცნობის თარიღი : 27.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ.N13-ის მიმდებარედ, (ნაკვ.N2/66) / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , შანდორ პეტეფისა ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ , ნაკვეთი 02/166 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მზია კიტია პ/ნ 01013000688
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 19 ბ. 40

ორგანიზაცია:

- შპს "გეოგაზი" კოდი: 406062601

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 648160
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.04.2013

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 15 მაისს №AR1131075 განცხადებით მომართა შპს „გეოგაზი“-ს მინდობილმა პირმა - მოქ. მზია კიტიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ#13–ს მიმდებარედ, (ნაკვ#2/66)/ დასახლება ვაზისუბანი, შანდორ პეტეფის ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ (ნაკვ#02/166), მშენებლობადამთავრებული ობიექტის

(ავტოგასამართი და გაზგასამართი სადგურის (ავტოგასამართი სადგური(კომპლექსი))) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 13 მაისის №ბ-12/13115104-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობითი დადასტურებას.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ქ. თბილისში (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, თუმცა სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და დამკვეთს უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, დამკვეთის მიერ ექსპლუატაციაში მიღებაზეუარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენის შემდეგ აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის გარეშე უკვე განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობასა და მისი დასაშვებობის დადასტურებაზე. ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტისაგან განსხვავებით, ნაწარმოები მშენებლობის დადასტურება ხდება წერილობითი ფორმით. განხორციელებული მშენებლობის გათვალისწინებით მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია. დადასტურების წერილი მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია და უნდა დაერთოს ამ დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

- სამსახური ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩაზე ვაზისუბნის დასახლება კორპ#13–ს მიმდებარედ, (ნაკვ#2/66)/ დასახლება ვაზისუბანი, შანდორ პეტეფის ქუჩისა და 19ა კორპუსის მიმდებარედ (ნაკვ#02/166), მშენებლობადამთავრებული ობიექტის (ავტოგასამართი და გაზგასამართი სადგურის (ავტოგასამართი სადგური(კომპლექსი))) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 13 მაისის №ბ-12/13115104-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშნებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მათ დასაშვებობას ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
- წინამდებარე წერილობითი დადასტურება განიხილება პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე სამსახურის 17.04.2013 წ №648160 ბრძანებასთან ერთად, წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის განუყოფელ ნაწილს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტის ყველა ეგზემპლარს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.